ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3198601

ნომერი: AR1491398

თარიღი : 30.03.2017

გაცემის თარიღი : 10.04.2017

გაცნობის თარიღი : 10.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარგიანი , N 2-4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ გებიაშვილი პ/ნ 18001020965
- ზესტაფონი ს. სანახშირე

ორგანიზაცია:
- "ოქროს საწმისი-2" კოდი: 230085751

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 30 მარტის №AR1491398 განცხადება, ამავე სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ქუჩა მარგიანი, N 2-4, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.14.02.022.038, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 25 ივნისიდან 2015 წლის 25 იანვრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და განმარტებულია, რომ უნდა შეიცვალოს: საერთო ფართობი, საცხოვრებელი ფართობი, საზაფხულო ფართობი, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი, ავტოსადგომის ფართობი და მანსარდის ფართობი. განმცხადებელი ასევე ითხოვს 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანების ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში მიეთითოს დამხმარე ფართობი 18.56 კვ.მ. განმცხადებლისვე განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელებში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ატვირთულ პროექტში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არასწორად იყო დათვლილი, ასევე დაემატა 0,6 კოეფიციენტით განსაზღვრული ფართები (კ2 ნაცვლად 3.2-სა გახდა 3.8) .
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებაში მითითებულია: საერთო ფართობი 6109.3 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობი 3299.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 530.9 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 402.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 809.1 კვ.მ, მანსარდის ფართობი 285.5 კვ.მ. რაც შეეხება 2017 წლის 30 მარტის №AR1491398 განაცხადში აღნიშნულ მოთხოვნას, იგი წარმოადგენს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილს და მისი ცვლილება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (პროექტის კორექტირებას).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა ექნება 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების (პროექტის კორექტირების) მოთხოვნით წარმოდგენილი განაცხადისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
